საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში პირის მიღების წესი

საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში პირის მიღება შტატით გათვალისწინებულ თანამდებობაზე ხდება სპეციალური კონკურსის წესით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის" მეორე თავის მე-12 მუხლის (სამსახურში მიღების წესი) შესაბამისად. კონკურსის მიზანია ვაკანტური თანამდებობის საკვალიფიკაციო მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა.

სპეციალურ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველას, ვისაც სურვილი აქვს საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის დაწყების და აკმაყოფილებს ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მოთხოვნებს.

მისაღები პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას და თავისი პიროვნული და საქმიანი თვისებების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური მომზადების შესაბამისად შეუძლია შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bpg.gov.ge) პერიოდულად ცხადდება ინფორმაცია ვაკანტურ თანამდებობებზე სპეციალური კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომელიც შეიცავს:

- ვაკანტური თანამდებობის დასახელებას და რაოდენობას;
- კანდიდატისათვის წაყენებულ მოთხოვნებს (სათანადო ცოდნა, გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები და სხვ.);
- თანამდებობისთვის გათვალისწინებულ ძირითად ფუნქცია-მოვალეობათა ჩამონათვალს;
- თანამდებობრივი სარგოს ოდენობას;
- აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, მათი წარდგენის ვადასა და ფორმას;
- სპეციალური საკონკურსო კომისიისა და ელექტრონული ფოსტის მისამართს.

კანდიდატი უფლებამოსილია ერთსა და იმავე დანაყოფში აპლიკაცია წარადგინოს მხოლოდ ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე.

ვისაც სურვილი აქვს გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობაზე საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის დაწყების, კანდიდატმა საწყის ეტაპზე 10 დღის ვადაში უნდა წარადგინოს სასაზღვრო პოლიციის საკადრო დანაყოფის მიერ შემუშავებული ფორმის განცხადება - აპლიკაცია (ვაკანსიების გამოქვეყნების დროს აპლიკაცია იქნება თანდართული)

რომელიც იგზავნება განსაზღვრული ფორმით საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.bpg.gov.ge) მითითებულ მისამართზე.

განცხადებას (აპლიკაციას) უნდა დაერთოს:

- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;**
- **განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;**
- **ფოტოსურათი (ზომით 3X4);**

სპეციალისტი (მესაზღვრე) ან სპეციალისტის (უფროსი მესაზღვრე) ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ სპეციალურ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან/და სპეციალური მომზადების კურსი.

სპეციალური კონკურსის ეტაპებია:

- აპლიკაციების შეფასება/გადარჩევა;
- გასაუბრება;
- სპეციალური კომისიის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;
- ფიზიკური მომზადების დონის შემოწმება;
- სპეციალური შემოწმება.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში არ მიიღება:

- განზრახ დანაშაულისთვის ნასამართლევი პირი;
- პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა;
- პირი რომელსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;
- პირი, რომლის ჯანმრთელობაც, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამედიცინო დასკვნის თანახმად, არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;
- ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ფსიქიკური ან/და სხვა სნეულებით დაავადებული პირი.